

ფრთხილად, მორმონები!

მორმონების სექტა მე-19 საუკუნის 30-ან წლებში აშშ-ში წარმოიშვა. მორმონები თავს ქრისტიანებს უწოდებენ. სინამდვილეში კი მათი რელიგია ნახევრად წარმართული, აგრესიული და საშიში რელიგიაა, რომელიც ებრძვის ქრისტიანობას. მორმონების მამამთავარია ოკულტიზტი, ფსიქიურად გადახრილი, ხელმოცარული ოქროს მადიებელი, შულერი და ყალბი ფულის მჭრელი, აფერისტი და კრიმინალი, ვინმე ჯოზეფ სმიტი. იგი ამბობდა, რომ მას “გამოცხადებით” ეუწყა არსებული ეკლესიების ცდომილება, მიეთითა დაფლულ 2000 წლოვან ოქროს ფირფიტების შესახებ, რომლებზეც იგი იპოვნდა “რეფორმირებულ ეგვიპტურ ენაზე” დაწერილ “მარადიული სახარების სისრულეს”, რომ შემდგომ მან მოიძია ეს ფირფიტები, გაშიფრა და გადმოსცა მორმონთა “წმიდა წერილში” - “მორმონის წიგნი”. სინამდვილეში კი სმიტმა მწერალ სოლომონ სოლდინგს მოპარა გამოუქვეყნებელი ფანტასტიკური ჟანრის რომანი “ნაპოვნი ხელნაწერი”, გადაამუშავა, შეავსო ბიბლიიდან გადმოღებული ტექსტებით, და ასე შეთხზა “მორმონის წიგნი”. ოქროს ფირფიტები არასდროს არავის უნახავს; “რეფორმირებული ეგვიპტური ენა” არ არსებობს და უცნობია მეცნიერებისათვის; “ორიათასწლოვან” წიგნი კი აისახა ისეთი საღვთისმეტყველო, სოციალური და პოლიტიკური თემები, რომლებიც მხოლოდ მე-19 საუკუნის ამერიკისა და მისი საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. ამას გარდა “მორმონების წიგნი” 27 ათასი სიტყვა და გამონათქვამია უცვლელად გადატანილი მეფე ჯეიმსისეული ბიბლიის ახალი თარგმანიდან, იმ უზუსტობების ჩათვლით, რომელსაც ეს თარგმანი შეიცავს. ასევე, “მორმონების წიგნი” გადმოცემული ქალაქები, პიროვნებები, ცხოველები, ქსოვილები, ლითონები, ომები, მეფეები, ადგილები არ დასტურდება არც მეცნიერულად, არც ისტორიულად, არც

არქეოლოგიურად, არც გენეტიკურად და წარმოადგენს ავანტიურუსტისა და თვითმარქვია “მოციქულის”, მრავალცოლიანობის გამავრცელებლის და მკვლევლებისა და დარბევების მოქმედის, პლაგიატისა და ცრუმოწმის, ჯ. სმიტის მონაჩმასს, რომელიც მრავალჯერ იქნა მხილებული მისივე მიმდევრების მიერ.

1842 წელს სმიტი და მისი 200 მიმდევარი მასონობაში გაწევრიანდა და ამ დროიდან მოყოლებული მორმონების “ღვთისმსახურებაში” მასონური რიტუალები და რიტუალური საგნები შევიდა. თანდათან იუტას შტატში დასახლებულ მორმონებს ადგილობრივი მოსახლეობა დაუპირისპირდა და 1844 წელს გამძვინვარებული ბრბო ციხეში შეიჭრა და სმიტი და მისი ძმა მოკლა: ისინი დაპატიმრებულნი იყვნენ იმ გამომცემლობის გადაწვისათვის, რომელმაც სმიტის მოადგილის მიერ დაწერილი მისი სიცრუისა და გარყვნილების მამხილებელი წერილი დაბეჭდა. იმ შემორჩენილ მრავალრიცხოვან დოკუმენტში, რომლებიც სმიტის პიროვნებისა და ქმედებების შესახებ ცნობებს შეიცავენ და მისი უშუალო ნაცნობების მიერაა დაწერილი, ვერ იპოვიან ვერც ერთ გამამართლებელ საბუთს – ყველა მამხილებელია.

სმიტის ბელადობა ვინმე ბრაიან იონგმა შეცვალა. მან, არასასურველი პიროვნებებისაგან სექტის განწმენდის მიზნით, 1857 წელს 137 ადამიანი დაახოცინა ვინმე ჯონ ლის, რომელიც გასამართლებულ და 1877 წ. სიკვდილით დასჯილ იქნა. შემდგომ პერიოდში მორმონები ცდილობენ სმიტის ნაყალბევი “მოდვრების” დახვეწას და სამარცხვინო ლაქების ჩამორეცხვა-მიჩქმალვას.

მორმონობის “მოდვრების” საწყისები უამრავ წინააღმდეგობასა და ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიას შეიცავს. ფორმალურად იგი ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს ახმოვანებს, განსაკუთრებით ქრისტიანულ ქვეყნებში ქადაგების დროს. ნიშანდობლივია, რომ მრავალმა რიგითმა მორმონმა კარგად არც კი იცის მორმონთა

მოდვრების არსი, რომელსაც იგი ქრისტიანული ფრაზეოლოგიით ნიღბავს. ამ არსს თუ ჩავწვდებით, აღმოვაჩინებთ, რომ სინამდვილეში მორმონობა უკიდურეს მკრეხელობასა და ქრისტიანობის უარყოფას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყნებში მისიონერობის დროს მორმონები გვერდს უქცევენ თავიანთი სწავლების სპეციფიკურ პუნქტებს:

1) მორმონობა უარყოფს ქრისტიანულ სამებას: მათი მამა ღმერთი არის ხორციელი და ადამიანის მსგავსი პიროვნება, ყავს ცოლი, რომლისაგანაც შვა “შვილები”. “ცოლის” სახელი გასაიდუმლოებულია, ხოლო შვილები არიან – ქრისტე, ლუციფერი(!) და სხვები, რომელთაც წინამძღოლობს ბიბლიური სახელის მქონე, მორმონული ღვთაება “ეგლოქი”. სმიტი და მისი მიმდევრები მრავალღმერთიანობას ღიად ქადაგებდნენ. ოკულტურის მსგავსად, მათი მოძღვრებით, ღმერთადქცევა – განვითარებისა და სრულყოფის გზით – ყველას შეუძლია. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ შვილ-ღვთაებათა შობის სწავლება მორმონების მიერ მოგონილი იყო იმისათვის, რათა გაემართლებინათ თავიანთი “წინასწარმეტყველებისა” და “წმინდანების” მრავალცოლიანობა;

2) მორმონობა უარყოფს მაცხოვარ ქრისტეს. სმიტის მიხედვით, ქრისტე არის ლუციფერის ძმა, არა მხსნელი, არამედ ხსნილი, ერთ-ერთი მრავალ ღვთაებას შორის, შობილი “მამის” (ადამ - ეგლოქისა) და მარიამის შეწყვილებით. სხვა მკრეხელური ვერსიით ქრისტე დროში ნაშობია, ხოლო მარიამს ფიზიკური სიანლოვე არა მარტო “ეგლოქთან”, არამედ ქმარ იოსებთანაც ჰქონდა და არ იყო ქალწული. ზოგიერთი მორმონი ქრისტეს თავის ძმას უწოდებს. მრავალცოლიანობის გასამართლებლად მორმონები ასწავლიდნენ, რომ ქრისტე ცოლიანი იყო, რომ ჰყავდა მრავალი ცოლი, მათ შორის მართა და მარიამი, ლაზარეს დები.

3) მორმონობის მიხედვით პირველქმნილი ცოდვა არა ღაცემა, არამედ სიკეთე და კაცობრიობის დალოცვა იყო, რომლის შედეგადაც ჩვენ ხორცშესხმის, შვილების, ანუ ახალი ღვთაებების შობის შესაძლებლობის ბედნიერება მოგვენიჭა. იანგი წერდა: “ადამი ჩვენი მამა და ღმერთია. ის ერთადერთი ღმერთია, რომელსაც ჩვენ ვესაუბრებით”;

4) მორმონები მხოლოდ მორმონულ ნათლობას აღიარებენ, ამასთან მიცვალებულთა მონათვლასა და მათზე ქორწინებასაც მისდევენ – მორმონს შეუძლია თავისი გარდაცვლილი წინაპრებისათვის რამოდენიმეჯერ “ნათელ-ილოს”. მორმონის ცხოვრების მიზანია, გახდეს ღვთაება. იანგი წერდა: “ღმერთები არსებობენ, და ყოველი ჩვენგანი უნდა მოემზადოს, რათა იქცეს ღვთაებად”. მსგავს აზრს გამოთქვამს მორმონთა “ეკლესიის” პრეზიდენტი ლორენცო სნოუ: “ოდესღაც ღმერთი ყველაფრით ადამიანის მსგავსი იყო; და მომავალში ადამიანს შეუძლია გახდეს ღმერთის მსგავსი”.

5) მორმონები ფორმალურად ცნობენ წმიდა წერილს, მაგრამ უპირატესობას თავის “მორმონის წიგნს”, “დოქტრინებს და აღთქმებს” და სხვ. ანიჭებენ;

6) სმიტი ამბობდა, რომ მრავალცოლიანობა მას გამოცხადებით ეუწყა, და, მრავალი ცოლი რომ არ ყოლოდა, მოციქულებრივი წოდების დაკარგვისა და მარადიული სიკვდილის საფრთხე დაემუქრებოდა. ამიტომ სმიტს 20-ზე მეტი, ხოლო იონგს - 30 ცოლი ჰყავდა. მათი მიმდევარი “წმინდანებიც” მარავალცოლიანები იყვნენ. ამასთან მორმონებს ცოლად არა მარტო გაუთხოვრი და ქვრივი ქალები მოჰყავდათ, არამედ გათხოვილი ქალების ღირსებასაც ხელყოფდნენ ხოლმე. მრავალცოლიანობა მორმონებმა ამერიკის ხელისუფლებისა და კონგრესის მკაცრი ჩარევის შემდეგ დათმეს. ამის შედეგად მორმონებს გამოეყვნენ “ძველმორმონე-

ბი”, რომლებმაც არ მიიღეს მრავალცოლიანობის აკრძალვა;

7) მორმონები გმობენ მართლმადიდებელ ეკლესიას, მის სწავლებას, ტაძრებსა და ღვთისმსახურებას. სმიტი ამბობდა, რომ “ყველა ქრისტიანი მოძღვარი და მისი მიმდევარი ეშმაკის შვილია და ეშმაკების ხვედრს გაიზიარებს”. ივივეს ამბობდა იონგი. ამასვე ამბობენ მათი მემკვიდრე მორმონები.

მორმონთა სექტა მკაცრად იერარქიულია და იმართება ე.წ. “წინასწარმეტყველის” (პრეზიდენტი) და “მოციქულების” მიერ. მისთვის დამახასიათებელია მკაცრი ავტორიტარიზმი, პიროვნებისა და სხვაგვარადმოაზროვნეთა დათრგუნვა, ფსიქოლოგიური დამუშავება, განდობილთა მრავალრიცხოვანი წრეები. რიგითმა მორმონებმა არც კი იციან, რომ ღღემდე არსებობენ ე.წ. “სიკვდილის ანგელოზები”, რომლებსაც მათი სექტისათვის არასასურველ პირთა მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი მოყავთ სისრულეში.

საქართველოში მორმონები შეტევით ქადაგებასა და აგრესიულ ანტიმართლმადიდებლურ პროზელიტიზმს ეწევიან: შემოაქვთ ჰუმანიტარული ტვირთი, მოსახლეობას უფასო ინგლისური ენის კურსებითა და საზღვარგარეთ მისიონერად გაგზავნის პერსპექტივით აცდუნებენ. ცდუნებულთა რაოდენობა უკვე 300-მდეა.

ძვირფასო თანამემამულენო!
ნუ ცდუნდებით: მორმონობა ღვთის მგმობი და სულის წარმწყმედი საშინელი სექტაა. ერთად დავიცვათ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ეკლესია, მართლმადიდებლობა მოძალადე სექტანტებისა და მათი მფარველებისაგან.

დაგვიკავშირდით: ტელ: 331 922
ელ-ფოსტა: dzmobal@post.ge

ნმ. ბეჟე ღვით ოლბაძის
სახ. მხოლოდღიწილი ძიგლის
ქ ა ვ შ ი რ ი



ბეჟე ებეჟეი ში, სიწილო ჩიწი,
მხოლოდღიწილი
†
მართლმადიდებლური ლიტერატურა
ვრცელდება უფასოდ
(სხვებსაც წააკითხეთ)

